გადაწყვეტილება Nგ-1/007/2015

ქ. თბილისი **23/02/2015**

განმცხადებელი - დ.კ

მოთხოვნა - „ევროპაბეთის“ მიერ პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის განმცხადებლის სატელეფონო ნომრის მოპოვების და გამოყენების კანონიერების შესწავლა. ასევე, მის ნომერზე სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტის უზრუნველყოფა.

აღწერილობითი ნაწილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს 2014 წლის დეკემბერში განცხადებით მომართა მოქალაქე დ.კ-მ. განმცხადებელი მიუთითებდა, რომ იგი სატელეფონო ნომერზე „ევროპაბეთისგან“ (europe-bet) ყოველდღიურად იღებდა სარეკლამო ხასიათის შეტყობინებებს. სარეკლამო შეტყობინებები არ შეიცავდა უარის თქმის მექანიზმს და არც გამომგზავნის შესახებ რაიმე საკონტაქტო ინფორმაციას, რის გამოც ვერ ახერხებდა თავისი უფლების რეალიზებას - სარეკლამო შეტყობინებების მიღებაზე უარის თქმას. განმცხადებელი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისაგან ითხოვდა მისი ტელეფონის ნომრის მოპოვების კანონიერების შესწავლას და მის ტელეფონის ნომერზე სარეკლამო ხასიათის შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტის უზრუნველყოფას.

სავაჭრო ნიშანი - „ევროპაბეთი“ (europe-bet.com) წარმოადგენს შპს „ჩემპიონები 111-ს“ კუთვნილებას, რის გამოც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ბრძანების საფუძველზე, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის მიზნით, ჩატარდა შპს „ჩემპიონები 111-ს“ შემოწმება. ამასთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გადაწყვეტილებით შპს „ჩემპიონები 111-ს“ დაევალა დ.კ-ს ტელეფონის ნომრის დაბლოკვა - მონაცემის პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავების დროებითი შეჩერება. თუმცა ზემოაღნიშნული ბრძანებით ჩატარებული შემოწმების ფარგლებში, შპს „ჩემპიონები 111-ს“ მიერ დ.კ-ს სარგებლობაში არსებული ტელეფონის ნომრის პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავების ფაქტი არ დადასტურდა. შპს „ჩემპიონები 111-ის“ წარმომადგენელმა

ტელეფონის ნომერზე - „ევროპაბეთის“ სახელით შეტყობინების მიღების ფაქტი ახსნა იმით, რომ მართალია, სავაჭრო ნიშანი „europe-bet.com“ რეგისტრირებული აქვს შპს „ჩემპიონები 111-ს“, მაგრამ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე მას ეს სავაჭრო ნიშანი გადაცემული აქვს სარგებლობაში სხვა მსგავსი სფეროს საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიებისთვის. სარეკლამო შეტყობინების ხასიათიდან გამომდინარე, შპს „ჩემპიონები 111-ის“ წარმომადგენელმა ივარაუდა, რომ შეტყობინება გაგზავნილია შპს „ჯეოსლოტის“ მიერ, რომელიც საქმიანობს აზარტული (პოკერული) თამაშების სფეროში. წარმომადგენელმა წარმოადგინა ამ კომპანიის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და ასევე მასთან დადებული 2014 წლის იანვრის ხელშეკრულება, რომლის თანახმად შპს „ჩემპიონები 111“ შპს „ჯეოსლოტს“ გადასცემს სავაჭრო ნიშანს - „europe-bet.com“.

შპს „ჩემპიონები 111-ს“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ბრძანების საფუძველზე ჩატარდა შპს „ჯეოსლოტის“ შემოწმება. დამატებით, 2015 წლის იანვარში ინსპექტორის აპარატმა წერილით მიმართა შპს „ჯეოსლოტს“ და მოითხოვა ინფორმაციის წარმოდგენა, კერძოდ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული რომელი სამართლებრივი საფუძვლით მოხდა განმცხადებლის პერსონალური მონაცემის (ტელეფონის ნომრის) მოპოვება და რა ფორმით აქვთ მონაცემთა სუბიექტებს შესაძლებლობა განაცხადონ უარი შპს „ჯეოსლოტს“ მიერ მათი მონაცემების პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავებაზე. შპს „ჯეოსლოტმა“ ინსპექტორის აპარატს წერილობით განუმარტა, რომ განმცხადებელმა, მითითებული ნომერი შპს „ჯეოსლოტს“ თავად მიაწოდა, როდესაც 2014 წლის იანვარში ესტუმრა კომპანიის აზარტულ კლუბს. აზარტულ კლუბში განმცხადებლის ვიზიტის შესახებ ინფორმაცია, ისევე როგორც რეგისტრაციის დროს გადაღებული ფოტოსურათი, ინახება აზარტული კლუბის ელექტრონულ ბაზაში. პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავებაზე უარის თქმის საშუალებასთან დაკავშირებით, შპს „ჯეოსლოტმა“ განმარტა, რომ მართლაც არ გააჩნდა ამ მიზნებისათვის მონაცემთა სუბიექტისათვის უარის თქმის ხელმისაწვდომი საშუალება, რის გამოც, კომპანიამ შეწყვიტა პირდაპირი მარკეტინგი.

შპს „ჯეოსლოტის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმებისა და განმცხადებლის მობილური ტელეფონის ნომრის დამუშავების კანონიერების, ასევე სარეკლამო შეტყობინებებზე უარის თქმის მექანიზმის შემოწმების მიზნით, ინსპექტორის აპარატმა 2015 წლის თებერვალში განახორციელა შპს „ჯეოსლოტის“ ადგილზე შემოწმება. შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ განმცხადებლის ინფორმაცია, ისევე როგორც აზარტული კლუბის სხვა სტუმრების ინფორმაცია, ნამდვილად ინახება კომპანიის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში, რომელიც შექმნილია 2014 წლის იანვარში.

რაც შეეხება სარეკლამო ხასიათის შეტყობინებაზე უარის თქმის მექანიზმის არსებობას, შპს „ჯეოსლოტმა“ დაადასტურა, რომ 2014 წლის დეკემბერში გაგზავნილი, ზემოხსენებული შეტყობინება არ შეიცავდა ასეთ მექანიზმს. უარი თქმის მექანიზმის არარსებობა შპს

„ჯეოსლოტის“ წარმომადგენელმა ასევე დაადასტურა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმზე (№0000005) ხელმოწერით.

რაც შეეხება განმცხადებლის ტელეფონის ნომერზე სარეკლამო ხასიათის შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტის უზრუნველყოფას, შპს „ჯეოსლოტმა“ შემოწმების პერიოდში უზრუნველყო მათ მიერ გაგზავნილ შეტყობინებებზე უარის თქმის მექანიზმის ამოქმედება ე.წ. USSD კოდის მეშვეობით. განმცხადებელმა თავად გამოიყენა ეს შესაძლებლობა და შპს „ჯეოსლოტს“ მოსთხოვა მისი ტელეფონის ნომრის პირდაპირი მარკეტინგის მიზნით დამუშავების შეწყვეტა, რის შედეგად, დ.კ-ს განცხადებით, მას სარეკლამო ხასიათის შეტყობინება აღარ მისვლია.

სამოტივაციო ნაწილი

1. *პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმსჯელა შპს „ჯეოსლოტის“ მიერ დ.კ-ს ტელეფონის ნომრის შეგროვების კანონიერების შესახებ.*

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის თანხმობა. შპს „ჯეოსლოტის“ შემოწმების შედეგად ირკვევა, რომ განმცხადებელმა თავად მიაწოდა შპს „ჯეოსლოტს“ ტელეფონის ნომერი, როდესაც 2014 წლის იანვარში ესტუმრა კომპანიის აზარტულ კლუბს. შპს „ჯეოსლოტის“ ელექტრონულ ბაზაში ასახულია დ.კ-ს შესახებ შემდეგი მონაცემები: ფოტოსურათი, სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, პირადი ნომერი და მობილური ტელეფონის ნომერი. ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში აზარტული კლუბის სტუმრების შესახებ მონაცემების არსებობის მიზნად შპს „ჯეოსლოტმა“ დაასახელა პირის იდენტიფიცირების აუცილებლობა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. რაც შეეხება სტუმართა ტელეფონის ნომრების შეგროვებას, შპს „ჯეოსლოტის“ განმარტებით, ბაზაში სტუმრის მობილური ტელეფონის ნომრის დამატება ნებაყოფლობითია და დამოკიდებულია სტუმრის სურვილზე, მიიღოს სარეკლამო და სხვა სახის ინფორმაცია. შემოწმების ჯგუფმა გადაამოწმა სხვა, შემთხვევითი ბაზის ჩანაწერი, რომელშიც მობილური ტელეფონის ნომერი მითითებული არ იყო, რამაც დაადასტურა ტელეფონის ნომრის მონაცემთა სუბიექტის ნების საფუძველზე შეგროვება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ჯეოსლოტის“ მიერ ადგილი ჰქონდა პერსონალური მონაცემების დამუშავებას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით.

2. *პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმსჯელა შპს „ჯეოსლოტის“ მიერ დ.კ-ს ტელეფონის ნომრის პირდაპირი მარკეტინგის მიზნით გამოყენების წესის კანონიერების შესახებ.*

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს მე-8 მუხლი არეგულირებს მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისთვის დამუშავების წესს. ამ მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია შეატყობინოს მონაცემთა სუბიექტს, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მონაცემთა დამმუშავებელს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნით გამოყენების შეწყვეტა და უზრუნველყოს, რომ მონაცემთა სუბიექტის ჰქონდეს შესაძლებლობა მოითხოვოს მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის დამუშავების შეწყვეტა იმავე ფორმით, რა ფორმითაც ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგი, ან/და ამისათვის განსაზღვროს ხელმისაწვდომი და ადეკვატური საშუალება. განმცხადებლის - დ.კ-ს ტელეფონის ნომერზე 2014 წლის დეკემბერში გაგზავნილი შეტყობინება არ შეიცავდა ამგვარ სარეკლამო შეტყობინებაზე უარის თქმის მექანიზმს და არც რაიმე ინფორმაციას ასეთი შესაძლებლობის შესახებ. ის ფაქტი, რომ განმცხადებილის ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი სარეკლამო შეტყობინება არ შეიცავდა კანონის მოთხოვნების შესაბამის მექანიზმს, შპს „ჯეოსლოტს“ სადავოდ არ გაუხდია. უარის თქმის მექანიზმის არარსებობა დასტურდება ინსპეტორის აპარატში 2015 წლის თებერვალში შემოსული შპს „ჯეოსლოტის“ დირექტორის წერილით და ასევე, კომპანიის უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით.

აქედან გამომდინარე, 2014 წლის დეკემბერში შპს „ჯეოსლოტის“ მიერ ადგილი ჰქონდა განმცხადებლის - დ.კ-ს ტელეფონის ნომერზე პირდაპირი მარკეტინგის განხორციელებას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წესის დარღვევით, რაც წარმოადგენს მავე კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწიენებულ სამართალდარღვევას და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, 27-ე მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტების, 34-ე, 35-ე, 39-ე, 47-ე და 55-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. შპს „ჯეოსლოტი“ცნობილ იქნას სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდოს ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით;
2. ჯარიმის გადახდა უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში;
3. დასრულდეს მოქალაქე დ.კ-ს განცხადებასთან დაკავშირებული საქმის განხილვა.
4. განმცხადებელს და შპს „ჯეოსლოტს“ ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

5. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მხარეთა მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

თამარ ქალდანი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი